საინვესტიციო წინადადება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლეხინდრისთავიდან ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეყერეთამდე დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.



ზოგადი ინფორმაცია		
1	პროექტის დასახელება	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლეხინდრისთავიდან ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეყერეთამდე დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.
2	პროექტის მოკლე აღწერილობა	2024-2027 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას გრძელვადიან პერიოდში წყალტუბოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, კი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლება აგრძელებს თანმიმდევრულ მუშაობას, რომელიც ხელს უწყობს ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მის გამართულ ფუნქციონირებას, ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სწორედ ამ მიმართულებების გათვალისწინებით შემუშავდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი ძირითადი პრიორიტეტები და პროგრამები, რომელიც ასახავს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, რომელიც ყველაზე აქტუალურია საზოგადოებისათვის. ეს არის გზა, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტისათვის აქტუალური ყველა საკითხის სისტემურ გადაწყვეტას, შემოსავლების ზრდას და საცხოვრებელი გარემოს არსებით გაუმჯობესებას. უკანასკნელ პერიოდში ლეხინდრისთავიდან ლეყერეთის დამაკავშირებელი გზის მონაკვეთზე გაიზარდა ავტომანქანების რაოდენობა, მაგრამ ავტომანქანების ზრდის პარალელურად არ გაუმჯობესებულა საგზაო ინფრასტრუქტურა, რის გამოც მიმდებარე ტერიტორიაზე იქმნება პრობლემები ავტოტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებით. არსებული მდგომარეობის მიზეზებია ასევე შემოვლითი გზების არარსებობა.

		გამოვლენილი სოციალური-ეკონომიკური საჭიროებების პასუხად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა 2023 წელს შეიმუშავა ზემოთ აღნიშნული პროექტი. აღნიშნული პროექტით გათვალისწინებულია ორი მუნიციპალიტეტს შორის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა. მისი მთლიანი სიგრძეა 5,5 კმ. გზით ისარგებლებს დასახლებული მაღალმთიანი სოფლები დერჩი,დღნორისა,საჩხეური,ლეხინდრისთავი,ოჯოლა,ლეყერეთი. გარდა ამისა, ახალი გზის მოწყობა უმოკლესი მანძილით დააკავშირებს ორი მუნიციპალიტეტის ცენტრს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა არსებული გზის სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო და მოწყობის სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. მოცემული პროექტის მიხედვით გათვალისწინებული არსებული გრუნტიანი გზის საფარის მშენებლობა: 1.აღნიშნული გზის მოწყობა ხელს შეუწყობს მოსახლეობის დამაგრებას ჩამოთვლილ სოფლებში კერძოდ: დერჩი,დღნორისა,საჩხეური,ლეხინდრისთავი,ოჯოლა,ლეყერეთი. სადაც მიგრაციის მაღალი დონეა. 2. გარდა ამისა აღნიშნული პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ტურისტების მოზიდვას სოფელ დერჩში რომელშიც მდებარეობს გიორგი ახვლედიანის სახლმუზეუმი რომელიც არის ტურისტულად მიმზიდველი. უკანსაკნელი წლებში გზის გაუარესებამ გამოიწვია ტურისტების ნაკადის შემცირება,გაიზარდა მიგრაციის დონე. გაუარესდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები. მათთვის მიუწვდომელია პირველადი სამედიცინო დახმარება რადგან ჭირს ტრანსპორტის გადაადგილება. აღნიშნული გზა მდებარეობს ხვამლის მთის ქვემოთ, მდ. რიონის ჩრდილოეთ მხარეს. წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით, პროექტი გონივრულია და აქვს მყარი სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი. ეკონომიკური ხარჯები უნდა გადაიხედოს საბაზრო ფასებთან და ამ სექტორის ბოლო სატენდერო პროცედურებთან მიმართებაში. პროექტში მოცემული მონაცემები ეფუძნება შეგროვილ ინფორმაციას,

		გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკას.
3	პროექტის ადგილმდებარეობა	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი მდებარეობს კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთით, მდინარეების რიონისა და გუბისწყლის ხეობაში, იმერეთის ცენტალურ ნაწილში. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება ქალაქი ქუთაისი, დასავლეთით - სამტრედიისა და ხონის, ჩრდილოეთით ცაგერის და ამბროლაურის, ხოლო სამხრეთით - ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტები. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ფართობი არის 707,5 კვ კმ. წყალტუბო მსოფლიო მნიშვნელობის კურორტია. იგი ძალზე ორიგინალური ჰიდროგეოლოგიური აგებულებით გამოირჩევა.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მდგომარეობით 56 883 კაცია, მათ შორის მამაკაცი 28 343 და ქალი 28 540 (მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.მ. - ზე არის 81.2 კაცი). წყალტუბოში 48 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი და 47 სოფელი. მოსახლეობის სიდიდის მიხედვით საქართველოს 64 მუნიციპალიტეტს შორის წყალტუბოს მუნიციპალიტეტი 9-ე ადგილზეა. მუნიციპალიტეტში დასახლებული 56 883 მოსახლიდან ქალაქში რეგისტრირებულია

		11 284 პირი, ხოლო სოფელში 45 599 მაცხოვრებელი. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 1,5%-ია (3 713 804 მოსახლე), ხოლო იმერეთის რეგიონის 10,7%-ს შეადგენს (533 906 მოსახლე). პროექტი მოიცავს წყალტუბოს მუნიციპალიტეტისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის დამაკავშირებელ სოფლებს დერჩი,დღნორისა,საჩხეური,ლეხინდრისთავი,ოჯოლა,ლეყე რეთი. სადაც მიგრაციის მაღალი დონეა. იგი მდებარეობს ხვამლის მთის ქვემოთ, მდ. რიონის ჩრდილოეთ მხარეს. მოცემული ტერიტორია იყო მჭიდროდ დასახლებული, გზის არარსებობამ განაპირობა მიგრაცია. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რელიეფის განმსაზღვრელ ფიზიკურ - გეოგრაფიულ ფაქტორს წარმოადგენს ფართო ოვალური ფორმის ჩაღრმავება ქვაბურ მინერალური წყაროების გამოსვლით, რომელიც ყოველი მხრიდან შემოსაზღვრულია მთაგრეხილების შტოებით და მხოლოდ კოლხეთის დაბლობისაკენ არის გახსნილი. ქვაბულის გარშემო მდებარე ფერდობებს სხვადასხვა სიმაღლე და ექსპოზიცია აქვთ, რელიეფის ძირითადი ფორმები დაბლობ - ბორცვიანია და მთიან რეგიონში გავრცელებულია წითელმიწა, ეწერი და ნეშომპალა ნიადაგები. წყალტუბო მსოფლიო მნიშვნელობის კურორტია. იგი ძალზე ორიგინალური ჰიდროგეოლოგიური აგებულებით გამოირჩევა. აქ ზღვის ჰავა ნოტიო სუბტროპიკულია, მოკლე ზამთრით და ცხელი ზაფხულით. ჰაერის ტემპერატურის მხრივ წყალტუბო ერთ-ერთი თბილი კუთხეა საქართველოში. საშუალო წლიური ტემპერატურა - 15 გრადუსია. ყველაზე ცხელი აგვისტოს საშუალო ტემპერატურა -28-30 გრადუსია. ყველაზე ცივი თვეების იანვარ-თებერვლისა - 5 გრადუსი. საშუალო წლიური ტენიანობა 76 პროცენტია.
4	პროექტის დასაბუთება	პროექტის შემუშავება დაიწყო სოფლებში არსებული მდგომარეობის, SWOT ანალიზის, ბიუჯეტის და ეროვნული და რეგიონული დონის შესაბამის სტრატეგიებში მოცემული პრიორიტეტების შესწავლით. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გამოკვეთილია შემდეგი ძირითადი საჭიროებები და პრიორიტეტები:

		• საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება შემდეგ სოფლებში დერჩი,დღნორისა,საჩხეური,ლეხინდრისთავი,ოჯოლა,ლეყერეთი. - სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება, მოსახლეობის გადინების შემცირება, სოფელ დერჩში მდებარე ტურისტული ლოკაციამდე (გიორგი ახვლედიანის სახლ-მუზეუმი) მიზიდულობის გაზრდა. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. • სამანქანო გზების და საფეხმავლო ბილიკების რეაბილიტაცია. • მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გასაზრდელად ახალი შესაძლებლობების ძიება; • მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება - ახალი ნარგავების დარგვა ზემოთ მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შემუშავდა კრიტერიუმების კომპლექტი, რომელიც გამოყენებულ იქნა პროექტის შერჩევის პროცესში. პროექტი გაანალიზდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: I. ფორმალური დაშვების კრიტერიუმები მუნიციპალურ დონეზე 1. შესაბამისობა სტრატეგიულ დოკუმენტებთან 2. შესაბამისობა მუნიციპალიტეტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებთან 3. პროექტის განხორციელების ვადები 4. შესაბამისობა გარემოსდაცვით მოთხოვნებთან 5. შესაბამისობა მდგრადი განვითარების პრინციპებთან 6. კლიმატის ცვლილება II. ძირითადი კრიტერიუმები მუნიციპალურ დონეზე 1. პროექტის რეგიონთაშორისი ბუნება 2. პროექტის პირდაპირი და არაპირდაპირი ბენეფიციარები 3. პროექტს ჰყავს პირდაპირი ან არაპირდაპირი ბენეფიციარები რეგიონის ორ ან მეტ ადმინისტრაციულ ერთეულში 4. თანამშრომლობა სახელისუფლებო ორგანოებს და სხვა უწყებებს შორის პროექტის განხორციელებაზე 5. კომპლექსურობა და ვარგისიანობის ვადა 6. თანაბარი წვდომა მოქალაქეებისთვის 7. პროექტის მზაობა
5	პრობლემის ფორმულირება	აღნიშნული პროექტი წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი მსხვილი ეკონომიკური პროექტია. გამომდინარე იქედან რომ აღნიშნული სოფლები (დერჩი,დღნორისა,საჩხეური,ლეხინდრისთავი,ოჯოლა,ლეყ

		ერეთი) მოწყვეტილია ქალაქის ცენტრს, მოკლებულია ყველა იმ შესაძლებლობას რასაც საჭიროებს მოსახლეობა. შეფერხებულია საგანმანათლებლო დაწესებულებებამდე (ბაღი,სკოლა) ბავშვებისა და მასწავლებლების გადაადგილება. აღნიშნულ სოფლებში არ არის სრულყოფილი სამედიცინო დაწესებულება, რის გამოც მოსახლეობა დროულად ვერ იღებს პირველად დახმარებას.გაძნელებულია პირველადი დახმარებისა და სახანძრო მანქანების მომსახურების მიღება საჭიროების შემთხვევაში. აღნიშნულ სოფლებში არის მხოლოდ მცირე ზომის პირველადი მოხმარების მაღაზია, არ არის აფთიაქი. აღნიშნულ სოფლებს ესაზღვრება მდინარე რიონი ნაპირსამაგრი კედლების არარსებობის გამო, ხშირია მისი კალაპოტიდან გადმოსვლისა და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვის, სანაპირო ზოლისა და მიწის ნაკვეთების ე.წ. ჩამორეცხვის შემთხვევები, რაც სასოფლო მეურნეობას და მოსახლეობას მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს აყენებს. ბოლო წლებში გზის გუარესებამ შემცირებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა, რაც მთლიანობაში ძალიან აძნელებს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას. ზემოაღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დერჩი,დღნორისა,საჩხეური,ლეხინდრისთავი,ოჯოლა,ლეყერეთის მოსახლეობა მოკლებულია გზის არარსებობის გამო სხვადასხვა აუცილებელ საჭიროებებს დგას მწვავე აუცილებლობა, რომ სოფლებში მოწესრიგდეს საგზაო ინფრასტრუქტურა რითაც სოფლები გადარჩება დაცლას მიგრაციისაგან.
6	პრიორიტეტული საჭიროებები	მოსახლეობის გადაადგილების უსაფრთხო გარემოს შექმნა, მომიჯნავე დასახლებული პუნქტების უმოკლესი მანძილით დაკავშირება ერთმანეთთან
7	ინტერვენციის შემოთავაზებული ტიპი	არსებული გზების რეკონსტრუქცია და ახალი გზის მოწყობა
8	პროექტის მიზნები	<u>საერთო მიზანი:</u> ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფით. <u>ქვემიზნები</u> • ავტომობილით გადაადგილების დროის შემცირება • მოქალაქეთა ჯანმრთელობასთან და

		უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების შემცირება • მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებისა და საკუთრების დაცვა დატბორვისაგან • მუნიციპალიტეტის მიმზიდველობის გაზრდა ტურისტული და საინვესტიციო მიზნებისთვის
9	სამიზნე ჯგუფი	დერჩი,დღნორისა,საჩხეური,ლეხინდრისთავი,ოჯოლა,ლეყერეთი-ს მაცხოვრებლები, ვიზიტორები და ტურისტები. პროექტის პირდაპირი ბენეფიციარების რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 20000-ს, ხოლო არაპირდაპირი - 50000-ს.
10	შესაბამისობა გარემოსდაცვით მოთხოვნებთან	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართი 1, პუნქტი 12 მიხედვით საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია ან/და მოდერნიზაცია, რომლის მთლიანი მონაკვეთის სიგრძე 5 კილომეტრამდეა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება არ არის საჭირო.
11	შესაბამისობა სტრატეგიულ დოკუმენტებთან	**საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020** **პრიორიტეტი** სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფა და ლოგისტიკური ცენტრების განვითარება გვ. 53: ,, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფის და ლოგისტიკური ცენტრების განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს სატრანსპორტო სისტემების სიმძლავრეების შესაბამის გაზრდას და განვითარებას. ეკონომიკის ზრდას, ზოგადად, განაპირობებს შიდა გადაზიდვის, ტურიზმის და ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათი საერთაშორისო ნორმების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, ხანგრძლივი ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად მოვლა-შენახვის სამუშაოების სწორად დაგეგმვა.“. **2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა:** VII.4 პრიორიტეტი 4 - ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე VII.4.1 ღონისძიება 4.1. რეგიონების განვითარების სტრატეგიების განხორციელების ხელშეწყობა: მცირე ზომის ტექნიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება

		გვ. 114: აქტივობები: • ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია-მშენებლობა; **2024-2027 წლების იმერეთის განვითარების სტრატეგია** მიზანი : საბაზისო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ამოცანა: მხარის საგზაო ინფრასტრუქტურის (შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის, მათ შორის სასოფლო გზები) არარეაბილიტირებული ნაწილის, მისი პრიორიტეტული გზების რეაბილიტაცია. ცენტრალური ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების შესაბამისი საქმიანობის სათანადო კოორდინაცია, რათა მათ განახორციელონ თავიანთ კომპეტენციას მიკუთვნებული გზების რეაბილიტაცია. **გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა** **მე-9; მე-11 მიზანი**
12	კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის აღწერა	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, მისი დასავლეთი საზღვარი გაუყვება მდინარე რიონის სანაპიროს და ჩრდილო–აღმოსავლეთით ტყიბულის მუნიციპალიტეტი. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში აღნიშნული სოფლების მოსახლეობის შემოსავლების ძირითადი წყაროა სოფლის მეურნეობა, და საჯარო სამსახურები. მუნიციპალიტეტი მოიცავს 17 ტერიტორიულ ერთეულს: ქალაქი წყალტუბო და ადმინისტრაციული ერთეულები: გეგუთი, გვიშტიბი, გუმბრა, დღნორისა, მაღლაკი, მექვენა, მუხიანი, ოფურჩხეთი, ოფშკვითი, პატრიკეთი, რიონი, საყულია, ფარცხანაყანევი, ქვიტირი, ცხუნკური და სოფელ წყალტუბო. **მოსახლეობა** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მდგომარეობით 56 883 კაცია, მათ შორის მამაკაცი 28 343 და ქალი 28 540 (მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.მ. - ზე არის 81.2 კაცი). წყალტუბოში 48 დასახლებული პუნქტია: 1

<table>
<tr><td></td><td></td><td colspan="2">ქალაქი და 47 სოფელი.
მოსახლეობის სიდიდის მიხედვით საქართველოს 64 მუნიციპალიტეტს შორის წყალტუბოს მუნიციპალიტეტი 9-ე ადგილზეა. მუნიციპალიტეტში დასახლებული 56 883 მოსახლიდან ქალაქში რეგისტრირებულია 11 284 პირი, ხოლო სოფელში 45 599 მაცხოვრებელი.
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 1,5%-ია (3 713 804 მოსახლე), ხოლო იმერეთის რეგიონის 10,7%-ს შეადგენს (533 906 მოსახლე).

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქისმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდელი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით წყალტუბოს მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.</td></tr>
<tr><td rowspan="2">13</td><td rowspan="2">პროექტის დაგეგმილი გეგმა-გრაფიკი</td><td>დაწყების თარიღი</td><td>დასრულების თარიღი</td></tr>
<tr><td>დაწყების თარიღი დამოკიდებულია ფინანსური რესურსების მოძიებაზე.</td><td>4 თვე დაწყების თარიღიდან</td></tr>
<tr><td>14</td><td>პროექტის სავარაუდო საერთო ღირებულება</td><td colspan="2">1 375 000 ლარი</td></tr>
</table>